ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: 62-01192481009
თარიღი: 05/09/2019
პინი: 5903

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ადრესატი: შპს სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404438649
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, დ.აღმაშენებლის გამზ., N 171, ბინა № 7

შპს სამშენებლო კომპანია „აპექს დეველოპმენდი"-ს
დირექტორს ბატონ ვლადიმერ რობაქიძეს

ბატონო ვლადიმერ,

შპს „თბილსერვის ჯგუფში" ა.წ 29 აგვისტოს შემოსული თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანიის სანიაღვრე სამსახურის წარმომადგენლების მიერ ადგილზე გასვლით შესწავლილი იქნა ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი III მ/რ III კვარტალში წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.02.013.193. დადგინდა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ნამდვილად გადის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული დ-700 მმ-იანი სანიაღვრე კოლექტორი. მშენებლობის შემთხვევაში აუცილებელი იქნება კოლექტორის გადატანა კვეთის შეუცვლელად, რისთვისაც პირველ რიგში საჭიროა საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა.

საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაცია შეთანხმებული უნდა იყოს სანიაღვრე სამსახურთან, რის შემდეგ მერიის შესაბამისი სამსახური გასცემს ნებართვას სამუშაოების ჩასატარებლად.

დამატებით გაცნობებთ, რომ ყოველი შენობა ნაგებობის კედლის დაცილება სანიაღვრე ქსელის კედლამდე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა. (თუ d < 1000 მმ-ზე).

ნოდარ ზარდიაშვილი

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის სამსახური-სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
MSDA-080
405026877